ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5037117

ნომერი: AR1759162

თარიღი : 08.07.2020

გაცემის თარიღი : 23.07.2020

გაცნობის თარიღი : 23.07.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 3 ; ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 32; ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 3 ; ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 32; ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 3 ; ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , N 32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლ ჩხაიძე პ/ნ 01024072658
- თბილისი დიდი დიღომი IV მ/რ კორ. 12 ბ. 108

ორგანიზაცია:

- შპს ჩემპიონები 111 კოდი: 240420647

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისთვის რომ იმსჯელოს სამსახურმა აღნიშნულ საკითხტან დაკავშირებით საჭიროა პირველ რიგში სწორად მოხდეს განსაზღვრეთ განაცხადი მდებარეობა რუკაზე, საპროექტო ფართის მონიშვნა, სწორედ აღნიშნულის დაზუსტტების შემდგომ იქნება შსაძლებელი განაცხადის სრულყოფილად გავლა და სესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროსაც ასევე უნდა გაითვალისწინოთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით გურკვეველია საპროექტო აგრეგატები შემხებლობაში მოდის თუ არა იმ ფართებთან რომელიც მონიშნულია, იმ შემთხვევაში თუ მოდის შეხებაში, მაშინ წარმოსადგენია ფართის მესაკუთრის მიერ სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

წარმოსადგენია იმ ფართის ამონაწერი რომლის სახურავზეც იგეგმება აგრეგატების განთავსება, და მესაკუტრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა, იმ შემთხვევაში თუ ფართი საერთო სარგებლობისაა, წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი , (წარმოსადგენილ იქნას ოქმი რომელსაც დაესწრო ამხანაგობის ყველა წევრი 100 პროცენტი და განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წერვთა 100 პროცენტმა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე). ამჟამად განცხადებაზე წარმოდგენილი ოქმი არ არის მისაღებია, არც პროცენტული თვალსაზრისით არც შინაარსობრივად, დაუდგენელია რა წარდგენილ პროექტზე გაიცა თანხმობა, ოქმი საჭიროა იყოს ზოგადი შინაარსის ან ოქმში მიეთითოს მიმდინარე განცხადების ნომერი)

კვლავ მოგახსენებთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი გ)-ს თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულმხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge